საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-02/8411 „9" 09 2008

თქვენს № _____

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გრიგოლ ვაშაძეს

ბატონო გრიგოლ,

ლეგალიზებისათვის გიგზავნით 2008 წლის 2 სექტემბერს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელმოწერილი "ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტის" სასესხო ხელშეკრულების ორიგინალს და მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ "ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტის" სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭიროა პროცედურების განხორციელება.

ამასთან გაცნობებთ, რომ "ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტის" სასესხო ხელშეკრულების მიმართ ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია. სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროექტი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

დანართი:
1. სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერილი ორიგინალი (ბათუმის ურბანული ტრანსპორტი) ინგლისურ ენაზე და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილის ასლი (№01/23/13-5869);
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილის ასლი (№17/1893/3-ბ);
4. საქართველოს ეროვნული ბანკის წერილის ასლი (№141/03);
5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილის ასლი (№2/13116-14);
6. ქალაქ ბათუმის მერიის წერილის ასლი (№2-26-1969)
7. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" წერილის ასლი (№01-02/198)
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკური სამინისტროს წერილის ასლი (№01-22/3316)
9. შეთანხმების ფურცელი

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 17819/2-0
"10" 09 2008
1150 ფ.
05

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

№ 01-22/3316 31 „ 23 ივლ 200 8 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს, ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2008 წლის 21 ივლისის №7-02/6822 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასესხო ხელშეკრულებაზე საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის და საპროექტო ხელშეკრულებაზე შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის" შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრი ვ. ბოლქვაძე

6010 ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №6 ტელ: 888 (222) 73510 ფაქსი: 888 (222) 76671

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"

"BATUMIS AVTOTRANSPORTI" LTD

01-02\198

2008 წლის 30 ივლისი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

გაგეცანით მიმდინარე წლის 18 ივნისს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (**EBRD**) შორის " ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტთან" დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებზე შემუშავებულ " სასესხო ხელშეკრულების", "საპროექტო ხელშეკრულებისა " და " პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების " პროექტებს.

აღნიშნული ხელშეკრულებების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

შპს " ბათუმის ავტოტრანსპორტის "

დირექტორი ბიორგი ლორია

საორგანიზაციო ორგანო: ქ. ბათუმის სასამართლო
რეგ.№ 01/04-1968; თარიღი 30.09.2004
საუწყებო კაპიტალი: 2.892.230 ლარი

მისამართი: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის №2
საზოგადოების დირექტორი: ბიორგი ლორია
ტელ: (+995222) 7-52-30 ფაქსი: (+995222) 7-52-30
ელ. ფოსტა: batavtotransport@mail.ru

ქალაქ ბათუმის მერია

№ 2-26-1969 · 29 · 07 2008 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს
ბატონ დ. გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2008 წლის 21 ივლისის №07-02/6822 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტთან" დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებზე შემუშავებულ „სასესხო ხელშეკრულების", „საპროექტო ხელშეკრულებისა" და „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების" პროექტებს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,
ქ. ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე

№ 12481-3
01 08 8

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ№25
ტელ: 888 (222) 7 26 26. ფაქსი: 888 (222) 7 26 01

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 2/13116-14
„29" 07 2008

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გიგზავნით, „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ბათუმის ურბანული ტრანსპორტი)" პროექტზე საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და ქალაქ ბათუმს შორის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებისა" და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და შპს ბათუმის ავტოტრანსპორტს შორის საპროექტო ხელშეკრულების" პროექტების მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია. ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტები „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, არ წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტებს.

დანართი: გვერდი

გრიგოლ ვაშაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 354/14
„30" 07 2008

დასკვნა

„საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ბათუმის ურბანული ტრანსპორტი)" პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ბათუმის ურბანული ტრანსპორტი)" პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი ხელშეკრულების დადება.

გრიგოლ ვაშაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, ლეონიძის 3/5
ტელ.: 99-65-05, ფაქსი: 99 93-46
ტელექსი: 212952 LEGAL.GI
ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
კოდი: 20410484

30.07.2008 № 141/03

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დ. გვინდაძეს

იქვენს მ/წლის 21 ივლისის N07 02/6822 წერილზე

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი „ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტთან" დაკავშირებული „სასესხო ხელშეკრულების", „საპროექტო ხელშეკრულებისა და „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების" პროექტები.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციის მიმართ შენიშვნები არა აქვს.

პატივისცემით,

დ. ამაღლობელი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

"29" 07 2008 წ. №17/1893/3-8

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2008 წლის 21 ივლისის №07-02/6822 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტთან" დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებზე შემუშავებული „სასესხო ხელშეკრულების", „საპროექტო ხელშეკრულებისა" და „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების" პროექტები.

წარმოდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე თამარ კოვზირიძე

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 20, 93 00 01

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/13 - 5869 23 07 2008 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს იუსტიციის სამინიტრომ განიხილა თქვენი ა/წლის 21 ივლისის №07-02/6822 წერილით სამართლებრივი ექსპერტიზისთვის განმეორებით წარმოდგენილი საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტთან" დაკავშირებით გასაფორმებელი „სასესხო ხელშეკრულების", „საპროექტო ხელშეკრულების" და „პროექტის მხარდამჭერი ხელშეკრულების" პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. მიგვაჩნია, რომ „სასესხო ხელშეკრულებასა" და „პროექტის მხარდამჭერი ხელშეკრულების" პროექტების ტექსტში „ქალაქ ბათუმის" სტატუსი საჭიროებს დაზუსტებას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს" განმარტებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უნდა დაკონკრეტდეს ხელშეკრულებების პროექტებით გათვალისწინებული „ქალაქის" ვალდებულებებზე პასუხისმგებელი ორგანო (საკრებულო ან/და მერია);

2. „სასესხო ხელშეკრულების" პროექტის 1.02 პუნქტის მე-2 აბზაცში მოცემული „მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის" განმარტება საჭიროებს გადამუშავებას რედაქციული თვალსაზრიხით. კერძოდ, მართებულია, მითითებული დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენელია" საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო სტანდარტული პირობების 3.01„ბ" პუნქტის შესაბამისად სესხის თანხის

2230
28.07.08

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 12196-3
28-07 2008 წ.
შემოსავლის ადმინისტრირება

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30, ტელ.: 75-82-34, 75-83-85, ფაქსი: 75-82-34, ელ.ფოსტა: lnprivlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-34, 75-83-85, Fax: 75-82-34, E-MAIL: lnprivlawdep@justice.gov.ge

გამოთხოვის აპლიკაციის წარდგენისას – ქალაქის უფლებამოსილი წარმომადგენელი";

3. წარმოდგენილ პროექტებთან მიმართებაში კვლავ რელევანტურია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ა/წლის 20 მაისის №01/23/13-4152 წერილში დაფიქსირებული 1„ა", 1„ზ", 2, 3 შენიშვნები. ამასთან, 1„ვ" შენიშვნასთან (პუნქტი 5.02) დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტრო გასცემს სამართლებრივ დასკვნას საკრედიტო ხელშეკრულების პროექტის, ხოლო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ – მისი დადების პროცედურების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების განხორციელების პირობას კი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვერ დააფიქსირებს სათანადო კომპეტენციის არქონის გამო;

4. „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების" 2.01. პუნქტის „ბ".2 ქვეპუნქტთან მიმართებით მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს საპროექტო ორგანიზაციის გადასახადებისა და განბაჟების ხარჯების დასაფარად თანხებით უზრუნველყოფის შინაარსი იმ კუთხით, თუ რა სამართლებრივი ფორმითაა ეს უკანასკნელი შესაძლებელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტების თარგმანების ინგლისურენოვან დედანთან სისწორე და შინაარსობრივი მხარე მოითხოვს გადამოწმებას და შესაბამის კორექტირებას (მაგ.:„სასესხო ხელშეკრულების" 1.02 პუნქტში არამართებულია „კონტრიბუციის" ცნების ხმარება, 3.01 პუნქტში „ე" ქვეპუნქტი გაუგებარია, შინაარსობრივად გაუმართავია 4.01 პუნქტი, 5.03 პუნქტის სათაურში „ძალაში შესვლის შეწყვეტის" ნაცვლად უნდა იყოს „მოქმედების შეწყვეტა" და ა.შ.).

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი
მინისტრის პირველი მოადგილე